საქართველო
მოკლე მიმოხილვა

ანტიმიკრობულ რეზისტენტობასთან (AMR) დაკავშირებული აქტივობების დანერგვა

ამრ-ის საწინააღმდეგო ეროვნული სტრატეგია შემუშავდა ქართველი ექსპერტების მიერ, ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის (ჯანმო) კონსულტანტების დახმარებით. 2017 წლის 11 იანვარს საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცდა ამრ-ის საწინააღმდეგო ეროვნული სტრატეგია, რომელიც ეფუძნება ერთიანი ჯანმრთელობის მიდგომას.
სტრატეგიაში გათვალისწინებულია ამრ-ის შესახებ ჯანმო-ს და აშშ-ს დაავადებათა კონტროლისა და პრევენციის ცენტრების გაიდლაინები და რეკომენდაციები, აგრეთვე საერთაშორისო სამეცნიერო ლიტერატურასა და საქართველოში ამრ-ის მხრივ არსებული მონაცემები. სტრატეგია შემუშავდა სახელმწიფო დონეზე კოორდინაციის, შეფასების და ღონისძიებათა გაფართოების გზით, თუმცა, იმპლემენტაციის პროცესში მიღებული გამოცდილების გათვალისწინებით, მისი შემდგომი დახვეწის და განვითარების შესაძლებლობებიცაა დატოვებული.

მნიშვნელოვანი კვლევები



ჯანმო-ს მხარდაჭერით საქართველოში ჩატარდა მკიცებულებების პრინციპზე დაფუძნებული პილოტური კვლევა. პროექტის ფარგლებში შესწავლილ იქნა სისხლის ნაკადის ინფექციების პრევალენტობა; დადგინდა სისხლის ნაკადის ინფექციების გამომწვევი პათოგენები და განისაზღვრა ანტიბიოტიკების მიმართ მათი მგრძნობელობა; კლინიცისტებისთვის დემონსტრირებულ იქნა კლინიკური მიკრობიოლოგიის მნიშვნელობა; გაძლიერდა ამრ-ის ლაბორატორიული კლევის შესაძლებლობები ადგილობრივ (საავადმყოფო) და ცენტრალურ (ლუგარის ცენტრი) დონეზე.
საავადმყოფოებში პილოტურად ჩატარდა ანტიმიკრობული საშუალებებისა და რეზისტენტობის მომენტალური პრევალენტობის კვლევა.

მიმდინარე მნიშვნელოვანი მიღწევები

- 2016 წელს საქართველოს ამრ-ის მონაცემები გაზიარებულ იქნა ცენტრალური აზიისა და აღმოსავლეთ ევროპის ანტიმიკრობული რეზისტენტობის ზედამხედველობის ქსელში (CAESAR) და გლობალური ანტიმიკრობული რეზისტენტობის ზედამხედველობის სისტემაში (GLASS);
- საქართველო არის CAESAR-ის წევრი, 2016 წლიდან ჩაერთო GLASS-ში.
- 11 მიკრობიოლოგიური ლაბორატორია, მ. შ. ლუგარის ცენტრი არის ჩართული ჯანმო-ს გარე ხარისხის შეფასების პროგრამაში.

- 2014 წლიდან ჯანმო მხარს უჭერს ამრ-თან დაკავშირებულ აქტივობებს - ტრეინინგები, სამუშაო შეხვედრები, ევროპის კომიტეტის ანტიმიკრობული მგრძნობელობის ტესტირების (EUCAST) სტანდარტების დანერგვა, ინფექციის პრევენციის და კონტროლის საკანონმდებლო ბაზის განახლება.
- შეიქმნა ამრ-ის საწინააღმდეგო ეროვნული კომიტეტი;
- შემუშავდა ინფექციების პრევენციისა და კონტროლის დიპლომისშემდგომი სწავლების პროგრამა;
- გაუმჯობესდა სამედიდიცინო პერსონალის ცოდნა ინფექციების პრევენციისა და კონტროლის, სამედიცინო მომსახურებასთან ასოცირებული ინფექციებისა და ამრ-ის შესახებ შესახებ;
- სამედიცინო დაწესებულებებში ტარდება ინფექციების პრევენციისა და კონტროლის შეფასება და მონიტორინგი ;
- მიმდინარეობს ინფექციების პრევენციისა და კონტროლის ეროვნული გაიდლაინის განახლება;
- მიმდინარეობს ინფექციების პრევენციისა და კონტროლის სტანდარტული ოპერაციული პროცედურების შემუშავება;
- 2017 წელს ჯანმო-ს ხელშეწყობით საქართველოში ჩატარდა ორი ღონისძიება: ანტიბიოტიკების შესახებ ინფორმირებულობის მსოფლიო კვირეული (თბილისსა და ბათუმში) და ამრ-თან და ინფექციების პრევენციასთან და კონტროლთან დაკავშირებული სემინარი, რომელიც ეხებოდა ამრ-ის მონაცემების შეგროვებასა და ანალიზს.

მომავალი ნაბიჯები

- ეროვნულ დონეზე ინფექციების პრევენციისა და კონტროლის გაძლიერება, ჯანმო-ს ინფექციების პრევენციისა და კონტროლის პროგრამის ძირითადი კომპონენტების შესახებ გაიდლაინის გამოყენებით;
- სამედიცინო პერსონალის ქცევითი ცვლილების საშუალებით ამრ-ის და ინფექციების პრევენციისა და კონტროლის შესახებ ცნობიერების დონის ამაღლება;
- ანტიბიოტიკების მართვის ხელშეწყობა;
- ამრ-ის რეფერენს ლაბორატორიის შესაძლებლობების გაძლიერება.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური
დაცვის სამინისტრო
საქართველო, თბილისი 0119. აკ. წერეთლის გამზ. #144
www.moh.gov.ge

დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივ
ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი
საქართველო, თბილისი 0177. 9, მ. ასათიანის ქ. #
www.ncdc.ge